აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, სერვისის განვითარების სამსახური

ტრენინგი გიდებისათვის თემაზე „გასტრონომიული გიდი“

09.12.2019 - 09.12.2019

ტრენინგის შესახებ

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით რეგიონში მოქმედ გიდებს ჩაუტარდათ თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი თემაზე "გასტრონომიული გიდი", რომელიც ეხებოდა კულინარიული ასპექტების ტურისტებისათვის მიწოდების ფორმასა და შინაარს, კერძოდ კი კულინარიული მასტერკლასის დაგეგმვისა და ჩატარების ასპექტებს. ტრენინგისას გიდები აჭარული კერძების მომზადების მასტერკლასსაც დაესწრნენ, სადაც ტურისტისთვის კერძის შეთავაზებასა და საინტერესოდ პრეზენტაციაზე გაკეთდა აქცენტი. ტრენინგს გიდების სექტორის 21 წარმომადგენელი ესწრებოდა. კურსის შემდეგ მსმენელებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ტრენინგი შემდეგ ძირითად საკითხები იყო:

- ქართული გასტრონომიული კულტურა,
- გასტრონომიული ტურიზმი,
- გასტრონომიული სუვენირების ბაზრის განვითარება.